

მოქმედების სფერო

6.1 წინამდებარე განყოფილება ეხება მარაგების აღრიცხვას, გარდა:

- (ა) დაუთავრებელი მშენებლობისა, რომელიც წარმოიშობა სამშენებლო ხელშეკრულების შესრულებისას, მათ შორის, სამშენებლო ხელშეკრულებებთან უშუალოდ დაკავშირებული მომსახურების ხელშეკრულებებისა (იხ. მე-13 განყოფილება – „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“); და

სამშენებლო ხელშეკრულება არის ხელშეკრულება, რომელიც კონკრეტული აქტივის მშენებლობისთვის გაფორმდა. მომსახურების ხელშეკრულებები უშუალოდაა დაკავშირებული სამშენებლო ხელშეკრულებებთან და როგორც წესი, მოიცავს მშენებლობის პროექტის მენეჯერების ან არქიტექტორების მომსახურების ხელშეკრულებებს. მსგავსი ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვა განისაზღვრება მე-13 განყოფილებით – ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან.

- (ბ) ბიოლოგიური აქტივებისა, რომლებიც დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასა და სოფლის მეურნეობის პროდუქციასთან ნაყოფის მიღების მომენტამდე (ნაყოფის მიღება არის ბიოლოგიური აქტივიდან პროდუქციის მოცილება, ან ბიოლოგიური აქტივის სიცოცხლის პროცესის შეწყვეტა.) (იხ. მე-8 განყოფილება – „ბიოლოგიური აქტივები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში“).

მოსავლის აღება გულისხმობს ბიოლოგიური აქტივიდან წარმოებული პროდუქციის მოშორებას ან ბიოლოგიური აქტივის სიცოცხლის პროცესის შეწყვეტას. მოსავლის აღების მომენტი არის დროის მომენტი, როდესაც აღებული მოსავალი წყვეტს არსებობას, როგორც ბიოლოგიური აქტივი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში (იხ. მე-8 განყოფილება – ბიოლოგიური აქტივები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში) და ხდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მარაგები (იხ. მე-6 განყოფილება – მარაგები).

ატალითი 1- მრავალწლიანი ნარგავები

როდესაც მევენახე ყურძნის მოსავალს იღებს ახალი ხილის ბაზარზე გასაყიდად, ყურძენი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ბიოლოგიური აქტივებიდან (იხ. მე-8 განყოფილება) მარაგებში (იხ. მე-6 განყოფილება) უნდა გადავიდეს. ანალოგიურად, როდესაც მეღვინე ყურძნის მოსავალს იღებს, რთველის მომენტში იგი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ბიოლოგიური აქტივებიდან (იხ. მე-8 განყოფილება) მარაგებში (იხ. მე-6 განყოფილება) უნდა გადავიდეს.

უფრო მეტიც, მევენახის მიერ ვაზისგან მიღებული გასაყიდი წალამი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ბიოლოგიური აქტივებიდან (იხ. მე-8 განყოფილება) მარაგებში (იხ. მე-6 განყოფილება) უნდა გადავიდეს.

თუმცა, მევენახის მიერ ვაზის გასხვლის შედეგად მიღებული ლერწამი თუ გამოიყენება იმავე გენეტიკური მახასიათებლების ვაზის გასამრავლებლად, მაშინ იგი მე-8 განყოფილების მოქმედების სფეროში უნდა დარჩეს, რადგან იგი წარმოადგენს ბიოლოგიურ აქტივს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში.

მაგალითი 2- პირუტყვი

როდესაც მერძეული მიმართულების ფერმერი ძროხისგან რძეს იღებს, რძე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ბიოლოგიური აქტივებიდან (იხ. მე-8 განყოფილება) მარაგებში (იხ. მე-6 განყოფილება) უნდა გადავიდეს.

ანალოგიურად, როდესაც ძროხას კლავენ ხორცის მისაღებად, ის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ბიოლოგიური აქტივებიდან (იხ. მე-8 განყოფილება) მარაგებში (იხ. მე-6 განყოფილება) უნდა გადავიდეს.

თუმცა, როდესაც ძროხა ხბოს შობს, ის მე-8 განყოფილების მოქმედების სფეროში უნდა დარჩეს, რადგან ის წარმოადგენს ბიოლოგიურ აქტივს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში.

6.2 მარაგები ისეთი აქტივია, რომელიც:

- (ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში;
- (ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგების წარმოების პროცესში; ან
- (გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია წარმოების პროცესში, ან მომსახურების გაწევისას მოხმარებისათვის.

მარაგებში შედის:

- საცალო ვაჭრობის საქონელი (ანუ შესყიდული საქონელი, რომელიც გასაყიდადაა გათვალისწინებული ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში);

- ქონების დეველოპერის მიწა და შენობები, რომლებიც გასაყიდადაა გათვალისწინებული ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში;
- მწარმოებლის ნედლეული და მასალები, რომლებიც წარმოების პროცესში მოხმარებისთვისაა გამიზნული, ნაწილობრივ წარმოებული საქონელი, რომლის წარმოება არ დასრულებულა (ზოგჯერ „დაუმთავრებელ წარმოებას“ უწოდებენ) და წარმოებული საქონელი, რომელიც გასაყიდადაა გათვალისწინებული (ზოგჯერ „მზა პროდუქციას“ უწოდებენ);
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია მოსავლის აღების შემდეგ (იხ. მე-1 მოთ 1-ლი და მე-2 მაგალითები).

სათადარიგო ნაწილები, სათადარიგო მოწყობილობები და მომსახურე ტექნიკა, რომელიც მოსალოდნელია, რომ გამოყენებული იქნება ერთზე მეტი პერიოდის განმავლობაში, აკმაყოფილებენ ძირითადი საშუალების განმარტებას და მე-7 განყოფილების - გრძელვადიანი აქტივები - შესაბამისად უნდა აღირიცხოს.

თუ მსგავსი აქტივები მოსალოდნელი არ არის, რომ ერთზე მეტი პერიოდის განმავლობაში გამოიყენება, ისინი მარაგების სახით უნდა აღირიცხოს მე-6 განყოფილების შესაბამისად.

მარაგების კონსიგნაცია

ზოგიერთ დარგში მიღებულია მწარმოებლის მიერ საქონლის დისტრიბუტორის ან დილერისთვის „კონსიგნაციით“ მიწოდება. კონსიგნაცია არის შეთანხმება, რომლის მიხედვით მარაგებს ფლობს ერთი მხარე - დისტრიბუტორი ან დილერი (რომელიც საბოლოო მომხმარებელზე ყიდის მას) - როდესაც ამ მარაგებს სხვა მხარე აკონტროლებს, როგორც წესი, ეს არის მწარმოებელი, რომელიც ფლობს საკუთრების უფლებას. სხვა სიტყვებით, კონსიგნაციური მარაგების ეკონომიკური არსი გაყიდვის და უკან დაბრუნების საფუძველზე „გაყიდული“ საქონლის მსგავსია.

კონსიგნაციურ მარაგებთან დაკავშირებით ძირითადი საკითხი, რაც უნდა დადგინდეს არის შემდეგი - იგი მწარმოებლის აქტივია თუ დისტრიბუტორის. მწარმოებელმა დისტრიბუტორის მიერ კონსიგნაციით ფლობილი მარაგი უნდა აღიაროს, როგორც მწარმოებლის მარაგი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონტროლის უფლება გადაცემულია დისტრიბუტორისთვის. გარდა საკუთრების უფლების ფლობისა, გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ, რომ მწარმოებელი აკონტროლებს კონსიგნაციურ მარაგებს, მოიცავს შემდეგს:

- მწარმოებელს აქვს გაუყიდავი მარაგების უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება;
- მწარმოებელს აქვს ამ მარაგების მესამე მხარეზე (მაგალითად, სხვა დისტრიბუტორი) გადაცემის უფლება;
- დისტრიბუტორს არ გააჩნია უპირობო მოვალეობა, რომ საქონლისთვის გადაიხადოს, თუ არ მოხდება კონკრეტული მოვლენა, როგორცაა მაგალითად, საქონლის გაყიდვა საბოლოო მომხმარებელზე (მიუხედავად

იმისა, რომ შეიძლება მოითხოვებოდეს დეპოზიტი ან სხვა სახის ავანსი).

მაგალითი 3- კონსიგნაციური მარაგები

მწარმოებელი, შეთანხმების საფუძველზე, საქონელს აწვდის დისტრიბუტორის საწყობს. დისტრიბუტორი მწარმოებლის სახელით ახორციელებს საქონლის მარკეტინგს საბოლოო მომხმარებელზე. საქონლის გასაცემ ფასს განსაზღვრავს მწარმოებელი. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში დისტრიბუტორს გარკვეული ფასდაკლების შეთავაზების უფლება აქვს მწარმოებლის მიერ წინასწარ განსაზღვრული დიაპაზონის ფარგლებში.

დისტრიბუტორს არ გააჩნია ამ საქონლის მწარმოებლისთვის გადახდის ვალდებულება მანამ, სანამ დისტრიბუტორი საბოლოო მომხმარებლისგან არ მიიღებს გადახდას. საქონელი, რომელსაც დისტრიბუტორი ვერ გაყიდის მწარმოებლისგან საქონლის მიღებიდან 2 თვეში, დისტრიბუტორს შეუძლია:

- (i) დაუბრუნოს მწარმოებელს; ან
- (ii) შეისყიდოს (ანუ მარაგზე კონტროლი მწარმოებლიდან დისტრიბუტორზე გადადის და დისტრიბუტორს წარმოექმნება მწარმოებლისთვის საქონლის ღირებულების გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება).

მწარმოებელი საკუთრების უფლებას ინარჩუნებს საბოლოო მომხმარებელზე გაყიდვამდე ან დისტრიბუტორზე გაყიდვამდე (ანუ როდესაც დისტრიბუტორი არჩევს მწარმოებელს არ დაუბრუნოს საქონელი, რომელსაც ის ფლობდა ორი თვის განმავლობაში).

მანამ, სანამ საქონელი საბოლოო მომხმარებელზე ან დისტრიბუტორზე (როგორც ზემოთ იქნა ახსნილი) არ გაიყიდება, მწარმოებლისგან დისტრიბუტორისთვის მიწოდებული კონსიგნაციური საქონელი მარაგების სახით აისახება მწარმოებლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, რადგან ის მწარმოებლის აქტივია.

დისტრიბუტორის მიერ ფლობილ საქონელზე მწარმოებლის კონტროლის მაჩვენებლები მოიცავს შემდეგს:

- მწარმოებელი ფლობს საქონლის საკუთრების უფლებას;
- საქონელი იყიდება მწარმოებლის მიერ განსაზღვრული პირობებით, რადგან დისტრიბუტორს მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული დიაპაზონის ფარგლებში ფასდაკლების შეზღუდული შესაძლებლობა აქვს;
- დისტრიბუტორს არ გააჩნია მის მიერ მწარმოებლისგან კონსიგნაციით ფლობილი საქონლისთვის გადახდის ვალდებულება.

დისტრიბუტორის საწყობში საქონლის გადატანისას დისტრიბუტორს თუ ექნება მწარმოებლისთვის დეპოზიტის (ან ავანსის) გადახდის ვალდებულება, მაშინ ეს დეპოზიტი მწარმოებლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება ფინანსური ვალდებულების სახით (დისტრიბუტორის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში კი ფინანსური აქტივის სახით) მანამ,

სანამ საქონელი არ გაიყიდება საბოლოო მომხმარებელზე ან დისტრიბუტორზე.

საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები უნდა აღიარდეს და შეფასდეს მე-13 განყოფილების - *ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან* - შესაბამისად.

მარაგების შეფასება

6.3 საწარმომ მარაგები უნდა შეაფასოს თვითღირებულებასა და შეფასებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

თავდაპირველად აღიარების შემდეგ მარაგები უნდა შეფასდეს თვითღირებულებით, როგორც ეს მითითებულია 6.4–6.9 პუნქტებში). თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმომ უნდა განიხილოს გაუფასურებულია თუ არა მარაგები (იხ. პუნქტი 6.10). თუ გაუფასურებულია, მაშინ მარაგების საბალანსო ღირებულება მისი თვითღირებულებიდან უნდა შემცირდეს შეფასებულ გასაყიდ ფასამდე, რომელსაც გამოკლებული აქვს დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები“.

აღრიცხვის დროს გაუფასურების გათვალისწინება საწარმოს თავიდან ააცილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარაგების ასახვას იმაზე მეტი თანხით, რა ოდენობის ფულადი სახსრების მიღებასაც მოელის საწარმო თითოეული მარაგების გაყიდვიდან ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

გასაყიდი ფასი არის კონკრეტული მარაგის საწარმოსთვის სპეციფიკური, მის მიერ შეფასებული სამომავლო ფასი (განსაკუთრებით საქონლის, ნედლეულისა და მასალების), რომელიც შეიძლება იქნეს მიღებული ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობისას. რაც შეეხება დაუმთავრებელ წარმოებას, გასაყიდი ფასი უნდა განისაზღვროს მზა პროდუქციის გასაყიდი ფასით, შემცირებული მისი წარმოების დასრულებისათვის საჭირო დანახარჯებით. შეფასებებში გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი ფაქტორები:

- გარიგების ფასები, რომლებიც საანგარიშგებო საწარმომ გამოიყენა ბოლო დროს თავისი საქონლის გაყიდვისას;
- ყველაზე საიმედო ხელმისაწვდომი მტკიცებულება, ანუ მიმდინარე საბაზრო ფასები;
- მარაგების ფლობის მიზანი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მარაგები ფლობილია წინასწარგანსაზღვრული ფასის მქონე კონკრეტული ხელშეკრულებისათვის (ნებისმიერი ფორვარდული შესყიდვის ან გაყიდვის ხელშეკრულება, რომლის მონაწილე მხარე უკვე არის საწარმო);
- საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები (მაგალითად, გასაყიდი ფასის ან მწარმოებლის დანახარჯების ცვალებადობა) იმდენად, რამდენადაც ეს ცვალებადობა ადასტურებს იმ პირობებს, რომლებიც არსებობ-

და საანგარიშგებო პერიოდში.

საწარმოსთვის სპეციფიკური ფასი ნიშნავს, რომ ეს არის ფასი, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის კონკრეტული მარაგების გაყიდვიდან. ამიტომ ის ითვალისწინებს იმ სპეციფიკურ გარემოებებს, სადაც თვითონ ეწევა საქმიანობას, ამდენად, შეფასებული გასაყიდი ფასი შეიძლება იგივე არ იყოს, რაც მიმდინარე საბაზრო ფასი (რომელიც საწარმოსთვის სპეციფიკური არ არის).

იმის გასაგებად, რას წარმოადგენს წარმოების დასრულებისათვის საჭირო დანახარჯები, ქვემოთ, პუნქტში 6.7 იხილეთ გადამუშავების დანახარჯები.

გაყიდვის დანახარჯები არის გარიგების პირდაპირი დანახარჯები, რომელთა გაწევა აუცილებელია იმისათვის, რომ საწარმომ გაყიდოს საქონელი, მაგალითად, გაყიდვის საკომისიო. ეს თავისი ხასიათით მზარდი დანახარჯია. სხვა სიტყვებით, საწარმო ამ დანახარჯს არ გასწევდა, თუ გაყიდვა არ მოხდებოდა. გაყიდვის დანახარჯები ხარჯის სახით უნდა აღიარდეს საწარმოს მიერ მათი გაწევისას.

მარაგების გაუფასურების ბუღალტრული აღრიცხვა განხილულია ქვემოთ მოცემულ პუნქტში 6.10.

6.4 მარაგების თვითღირებულება მოიცავს ყველანაირ დანახარჯს, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია მარაგების არსებულ ადგილამდე ტრანსპორტირებასა და მათ ახლანდელ მდგომარეობაში მოყვანასთან, მათ შორის:

(ა) შეძენის დანახარჯებს;

(ბ) გადამუშავების დანახარჯებსა; და

(გ) სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული მარაგების არსებულ ადგილამდე ტრანსპორტირებასა და მათ ახლანდელ მდგომარეობაში მოყვანასთან.

მარაგის არსებულ ადგილამდე ტრანსპორტირებასა და მათ ახლანდელ მდგომარეობაში მოყვანასთან უშუალოდ დაკავშირებული სხვა დანახარჯების მაგალითებია: კონკრეტული შეკვეთის შესაფერისი პროდუქტის დამუშავების დანახარჯები. ასევე მარაგების დასაწყობების (შენახვის) დანახარჯები, როდესაც დასაწყობება საწარმოო პროცესის შემადგენელი ნაწილია (მაგალითად, როდესაც ბეტონის ბლოკები უნდა გაშრეს იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს მათი გაყიდვა).

საწარმოო ნარჩენების ზენორმატიული ოდენობა (საწარმოო შეცდომების ჩათვლით), გაყიდვის დანახარჯები და ადმინისტრაციული ზედნადები ხარჯები, არ შედის მარაგების თვითღირებულებაში, ისინი შესაბამისი პერიოდის ხარჯებია.

6.5 მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მისი შეძენის (ნასყიდობის) ფასს, იმპორტის გადასახადსა და სხვა გადასახადებს (არაპირდაპირი გადასახადების გარდა, რომლებიც შემდგომში დაბრუნებას (ჩათვლას)

ექვემდებარება), ტრანსპორტირების, დატვირთვა-გადმოტვირთვის და-
ნახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავში-
რებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების
შეძენასთან. შეძენის დანახარჯების დათვლისას გაანგარიშებული თანხა
შემცირდება სავაჭრო დათმობის, სხვადასხვა სახის ფასდათმობისა და
სხვა ანალოგიური მუხლების ღირებულებით. თუ გადახდა გადავადებუ-
ლია (შემდგომი გადახდის პირობით) და შემდგომი გადახდის ფასი მეტია
დაუყოვნებლივ გადახდის ფასზე, მაშინ მარაგების თვითღირებულებაში
ასახული შეძენის ფასი იქნება გარიგების თარიღისთვის ხელმისაწვდომი
დაუყოვნებლივ გადახდის ფასი. სხვაობა შემდგომი გადახდის ფასსა და
დაუყოვნებლივ გადახდის ფასს შორის უნდა აღირიცხოს მე-5 განყოფი-
ლების - „ფინანსური ინსტრუმენტები“ - შესაბამისად.

მაგალითი 4- შეძენის დანახარჯები

A საწარმო აწარმოებს საბავშვო ხის ავეჯს. მან საწარმოო მიზნებისათვის
მომწოდებლისგან შეიძინა წიწვოვანი ხე-ტყის მასალის 5 კონტეინერი.

მომწოდებლის სტანდარტული გასაყიდი ფასია 1,400 ლარი თითოეული კონ-
ტეინერისთვის. თუმცა, ერთეულ მომხმარებელს, A საწარმოს ერთეულების
10%-იანი ფასდაკლება შესთავაზეს. A საწარმო 210 ლარს იხდის ხე-ტყის
მასალის ქარხანამდე ტრანსპორტირებისათვის (დაზღვევის ჩათვლით) და
დამატებით 30 ლარს - თავის ქარხანაში გადმოტვირთვისთვის. A საწარმო
მომწოდებლის ანგარიშ-ფაქტურაში ასახულ დღგ-ის ჩათვლას იღებს
სახელმწიფოსგან,

შეძენის დანახარჯებია:

	ლარი
შეძენის ფასი	1,400
ფასდაკლება (10% x 1,400 ლარი)	(140)
ტრანსპორტირების დანახარჯი	210
ჩამოტვირთვის და დალაგების დანახარჯი	30
შეძენის მთლიანი დანახარჯი	1,500

თუ A საწარმო დარიცხულ დღგ-ს ვერ ჩაითვლის, მაშინ ზემოთ მოცემულ
მთლიან დანახარჯებში შევა, ასევე ამ შეძენის შესაფერისი დღგ-ის განაკვე-
თის შესაბამისად გამოთვლილი გადასახადი.

მაგალითი 5- გადავადებული გადახდა

დარგში, სადაც ოპერირებს B საწარმო, მომწოდებლის ჩვეულებრივი კრე-
დიტის ვადაა საქონლის მიღებისას გადახდა.

20X1 წლის 1 იანვარს B საწარმომ 1,100 ლარის საქონელი იყიდა მომ-
წოდებლისგან 12 თვიანი კრედიტით. B საწარმოს საქონლის ფასი 20X1
წლის 1 იანვარს რომ გადაეხადა, მომწოდებელი მას ამ საქონლისთვის
მხოლოდ 1,000 ლარს დააკისრებდა. გახანგრძლივებული კრედიტით შე-

ძენის ფასსა (1,100 ლარი) და დაუყოვნებლივ გადახდის ფასს (1,000 ლარი) შორის სხვაობა წარმოადგენს დაფინანსების დანახარჯს და ამიტომ, პუნქტის 5.8 შესაბამისად, B საწარმომ მარაგების ღირებულება 1,000 ლარად უნდა შეაფასოს. 100 ლარი განსხვავება (1,100 ლარს გამოკლებული 1,000 ლარი) უნდა აღირიცხოს, როგორც საპროცენტო ხარჯი, პუნქტის 5.9 შესაბამისად.

- 6.6 საწარმომ არაფულადი აქტივის ან აქტივების, ან ფულადი და არაფულადი აქტივების ერთობლივად გაცვლის შედეგად შექმნილი მარაგების თვითღირებულება უნდა შეაფასოს აღიარების თარიღის მდგომარეობით განსაზღვრული, მათი საბაზრო ღირებულების საიმედოდ შეფასებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც (ა) გაცვლის ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი, ან (ბ) არც მიღებული და არც გადაცემული აქტივის საბაზრო ღირებულება არ არის საიმედოდ შეფასებადი. ასეთ შემთხვევაში, აქტივის თვითღირებულება განისაზღვრება გადაცემული აქტივის საბალანსო ღირებულებით.

საწარმომ უნდა გაითვალისწინოს, არაფულადი აქტივების გაცვლას აქვს თუ არა კომერციული შინაარსი იმის განხილვით, თუ რამდენადაა მოსალოდნელი, რომ მომავალში ფულადი ნაკადები შეიცვლება გაცვლის ამ ოპერაციის შედეგად.

განსხვავებული საგნების გაცვლას, როგორც წესი, კომერციული შინაარსი აქვს, ხოლო იდენტური (ან მსგავსი) საგნების გაცვლას შეიძლება კომერციული შინაარსი არ ქონდეს.

მაგალითი ნ- არაფულადი აქტივების გაცვლა

C საწარმო საბავშვო ხის ავეჯს აწარმოებს. იგი მომწოდებლისგან რეგულარულად ყიდულობს წიწვოვან ხე-ტყის მასალას მომწოდებლის სტანდარტულ გასაყიდ ფასად.

20X1 წლის 31 დეკემბერს C საწარმომ მომწოდებლისგან შეიძინა 2 კონტეინერი ხე-ტყის მასალა სტანდარტულ გასაყიდ ფასად, 1,400 ლარი თითოეული კონტეინერისთვის, C საწარმოს მიერ მომწოდებლისთვის 3 მერხის მიწოდების სანაცვლოდ. ეს 3 მერხი C საწარმომ დაამზადა და მისი საწარმოო თვითღირებულება 1,000 ლარია. 20X1 წლის 31 დეკემბერს C საწარმოს ამ გაცვლილი არაფულადი საგნების საბაზრო ღირებულების საიმედოდ შეფასებაა 1,400 ლარი.

მოცემულ გარიგებას კომერციული შინაარსი აქვს და გაცვლილი აქტივების საბაზრო ღირებულება (მიღებული 2 კონტეინერი ხე-ტყის მასალა და გადაცემული 3 მერხი) საიმედოდ შეფასებადია. C საწარმომ მიღებული ხე-ტყის მასალის ღირებულება 1,400 ლარად უნდა შეაფასოს (ანუ, აღიარების თარიღით საბაზრო ღირებულების ხელმძღვანელობისეული საიმედოდ შეფასება).

- 6.7 მარაგების **გადამუშავების დანახარჯები** მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულების წარმოებასთან (მაგალითად, საწარმოო პროცესში უშუალოდ ჩართული პერსონალის ხარჯები).

ნალის ხარჯები). გარდა ამისა, მოიცავს საწარმოო ზედნადებ ხარჯებსაც, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის/გადამუშავების პროცესში (მაგალითად, საწარმოო დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების ცვეთა და საექსპლუატაციო დანახარჯები).

საწარმოო ზედნადები ხარჯებისა და არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯების მაგალითებია: ქარხნის ზედამხედველის ხელფასი და დაქირავებით მომუშავეთა საწარმოო პროცესთან დაკავშირებული სხვა გასამრჯელოები, ქარხნის ქირა, საექსპლუატაციო ხარჯი, გათბობის, განათების ხარჯები, ძირითადი საშუალებების ქონების გადასახადი და ძირითადი საშუალებების ცვეთა.

გასათვლისწინებელია, რომ მარაგის თვითღირებულებაში არ შედის თანამშრომელთა ხელფასები, რომლებიც ამ მარაგის მიწოდების ან მონტაჟის მომსახურებისთვის არის გაწეული. მარაგის მიწოდება ან მონტაჟი არ არის თავად ამ მარაგის საწარმოო პროცესის შემადგენელი ნაწილი, ამიტომ ამგვარი ხარჯები არ შედის გადამუშავების ხარჯებში და კლასიფიცირდება როგორც დასაქმებულთა ანაზღაურება შემოსავლების, ხარჯების და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში.

საწარმოო დანახარჯები შეიძლება იყოს ცვალებადი ან ფიქსირებული.

თითოეულმა საწარმომ უნდა განსაზღვროს მარაგებზე საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილების რაციონალური და თანმიმდევრული საფუძველი. მიღებული პოლიტიკით ზედმეტად არ უნდა შეფასდეს (და არც ნაკლებად არ უნდა შეფასდეს) მარაგების ღირებულება. კერძოდ, საწარმომ არ უნდა განახორციელოს მარაგებში ფაქტობრივად გაწეულ ზედნადებ ხარჯებზე მეტი ხარჯების კაპიტალიზება.

მაგალითი 7- ფიქსირებული საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება

1-ლი სცენარი - განაწილების მარტივი საფუძველი = ფაქტობრივი ხარჯების გაყოფა ფაქტობრივ წარმოებაზე

D საწარმოს შესაფერისი ინფორმაცია:

- 20X1 წლის წარმოება = 10,000 ერთეული.
- 20X1 წლის მთლიანი ფიქსირებული ზედნადები ხარჯები = 100,000 ლარი.

10 ლარი არის ფიქსირებული საწარმოო ზედნადები ხარჯის კომპონენტი თითოეული ერთეული მარაგებისთვის (100,000 ლარი მთლიანი ფიქსირებული საწარმოო ზედნადები ხარჯი / 10,000 ერთეული).

მე-2 სცენარი: შედარებით რთული განაწილების საფუძველი = წინასწარ განსაზღვრული ზედნადები ხარჯების შთანთქმის განაკვეთი.

E საწარმოს შესაფერისი ინფორმაცია:

- საწარმოო წარმადობა სრული დატვირთვით = 10,000 ერთეული წელიწადში;

- ნორმატიული წარმადობა = 8,000 ერთეული წელიწადში;
- 20X1 წლის დასაწყისში E საწარმომ შეაფასა, რომ მთლიანი ფიქსირებული საწარმოო ზედნადები ხარჯები 20X1 წელს იქნებოდა 100,000 ლარი;
- E საწარმოს პოლიტიკაა ფიქსირებული საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება ნორმატიული წარმადობის საფუძველზე, წინასწარ განსაზღვრული ფიქსირებული საწარმოო ზედნადები ხარჯების შთანთქმის განაკვეთების გამოყენებით;
- 20X1 წლისთვის საწარმოო ზედნადები ხარჯების შთანთქმის განაკვეთი წინასწარ განისაზღვრა 12.5 ლარით ერთეულზე (100,000/8,000 ლარი ერთეულზე);
- 20X1 წლის ფაქტობრივი წარმოება = 7,500 ერთეული;
- 20X1 წლის ფაქტობრივი საწარმოო ზედნადები ხარჯები = 90,000 ლარი.

წინასწარ განსაზღვრული საწარმოო ზედნადები ხარჯების შთანთქმის განაკვეთის გამოყენებით E საწარმომ წლის განმავლობაში მთლიანად განაწილა 93,750 ლარი (7,500 ერთეული x 12.5 ლარი ერთეულზე) ფიქსირებული საწარმოო ზედნადები ხარჯი თავის მარაგებზე. თუმცა, ფაქტობრივი საწარმოო ზედნადები ხარჯი (90,000 ლარი) ნაკლებია განაწილებულ 93,750 ლარზე. ამიტომ, თავისი მარაგების საბალანსო ღირებულების ზემდებლად შეფასების თავიდან ასაცილებლად E საწარმომ ხარჯი შეასწორა 3,750 ლარის ოდენობით (93,750 – 90,000). და შესაბამისად, თითოეულ წარმოებულ ერთეულს მიაკუთვნა 12 ლარი (90,000 / 7,500). იმ შემთხვევაში თუ საწარმოო ზედნადები ხარჯები ფაქტობრივად შეადგენდა ნორმატიულზე მეტს, მაგალისთვისთვის 95,000 ლარს. ამ შემთხვევაში, 93750 მიაკუთვნებს თვითღირებულებას, ხოლო დარჩენილ, ზენორმატიულ 1250 ლარს, მიაკუთვნებს პერიოდის ხარჯს.

6.8 ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის თვითღირებულება. მე-8 განყოფილების – „ბიოლოგიური აქტივები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში“ – შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მარაგები, რომლებიც საწარმომ მიიღო ბიოლოგიური აქტივებიდან, თავდაპირველი აღიარებისას უნდა შეფასდეს გაყიდვისთვის აუცილებელი დანახარჯებით შემცირებული შეფასებული გასაყიდი ფასით, რომელიც განსაზღვრულია ნაყოფის მიღების მომენტისთვის. წინამდებარე განყოფილების გამოყენების მიზნებისათვის, ეს თანხა მიიჩნევა მარაგების თვითღირებულებად ზემოაღნიშნული თარიღისათვის.

ახსნა და მაგალითები იხილეთ პუნქტში 8.15.

6.9 თვითღირებულების ფორმულები – საწარმომ ინდივიდუალურად იდენტიფიცირებადი მარაგების თვითღირებულება, ასევე კონკრეტული პროექტებისთვის წარმოებული და განკუთვნილი საქონლის ან მომსახურების თვითღირებულება ცალ-ცალკე უნდა განსაზღვროს მათზე გაწეული ინდივიდუალური დანახარჯების იდენტიფიკაციით. ყველა სხვა მარაგების თვითღირებულება უნდა შეფასდეს ე.წ. **FIFO მეთოდით** (რომლის მიხედვითაც საანგარიშგებო პერიოდში, პირველ რიგში რეალიზებულად მიიჩნევა ის საქონელი, რომელიც საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისთვის მიეკუთვნება მარაგებს, ხოლო შემდეგ ის საქონელი, რომელიც წარმოებულია (შეძენილია) საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, მისი წარმოების (შეძენის) დროის მიხედვით), **ან საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულის გამოყენებით.**

როდესაც საჭირო არ არის ინდივიდუალური დანახარჯების გამოვლენის მეთოდის გამოყენება, საწარმოებმა უნდა გააკეთონ არჩევანი, ე.წ. FIFO მეთოდს გამოიყენებენ თუ საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას. შესაძლებელია სხვადასხვა თვითღირებულების ფორმულის შერჩევა მარაგების სხვადასხვა ჯგუფებისათვის (ანუ იმ მარაგებისათვის, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება ხასიათითა და გამოყენებით).

FIFO მეთოდი გულისხმობს, რომ მარაგები, რომელიც პირველად იქნა შეძენილი ან წარმოებული, პირველ რიგში იყიდება. მაშასადამე, პერიოდის ბოლოს მარაგებში არსებული აქტივები შეფასდება ბოლო შესყიდვების ფასებით (იხ. ქვემოთ მე-8 მაგალითი).

საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულით მარაგის თითოეულ ერთეულს ღირებულება ენიჭება მარაგების საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე. საშუალო შეწონილი ღირებულება შეიძლება გამოვიტვალოთ უწყვეტად ან ცალკეული პერიოდის საფუძველზე.

საშუალო შეწონილი ღირებულების პერიოდის საფუძველზე გამოსათვლელი ფორმულით მარაგების საბალანსო ღირებულება შემდეგნაირად გამოითვლება: (საწყისი მარაგების საბალანსო ღირებულება + პერიოდის განმავლობაში შეძენილი ან წარმოებული მარაგის თვითღირებულება) / (საწყის მარაგში ერთეულების რაოდენობა + პერიოდში შეძენილი ან წარმოებული ერთეულების რაოდენობა) (მაგალითი 9ა იხილეთ ქვემოთ).

საშუალო შეწონილი ღირებულების უწყვეტ საფუძველზე გამოსათვლელი ფორმულა გულისხმობს ყველა მარაგების საშუალო შეწონილი ღირებულების ხელახლა გამოთვლას ყოველი შეძენის ან წარმოების შემდეგ. შესაბამისად, ნებისმიერ მომენტში მარაგების ერთეულის ღირებულება არის საშუალო შეწონილი ღირებულება, გამოთვლილი ბოლო შეძენის ან წარმოების შემდეგ (მაგალითი 9ბ იხილეთ ქვემოთ).

მაგალითი 8- FIFO მეთოდი

20X1 წლის 1 იანვარს A საწარმო ფლობდა 200 ერთეულ მზა პროდუქციას, თითოეული მათგანის ღირებულება (საბალანსო ღირებულება) იყო 10 ლარი. იანვრის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

თარიღი	შეძენილი ერთეულები	დანახარჯები ერთეულზე, ლარი	მთლიანი დანახარჯი, ლარი
11 იანვარი	300	10.85	3,255
21 იანვარი	350	11.50	4,025
26 იანვარი	250	13.00	3,250
სულ	900		10,530

20X1 წლის იანვრის გაყიდვები:

თარიღი	გაყიდული ერთეულები
15 იანვარი	280
22 იანვარი	400
29 იანვარი	80

შესაბამისად, 20X1 წლის 31 იანვარს A საწარმოს ჰქონდა 340 გასაყიდი მარაგების ერთეული (ანუ 200 საწყისი + 900 იანვარში შეძენილი, გამოკლებული 760 იანვარში გაყიდული).

FIFO მეთოდის შესაბამისად 20X1 წლის 31 იანვარს დარჩენილი მარაგების ღირებულებაა 4,285 ლარი, რაც შემდეგნაირად გამოითვლება:

	ფიზიკური მარაგები (ანუ მარაგების ერთეულები)			
	საწყისი მარაგები 01/01/20X1	11/01/20X1 თითოეული 10.85 ლარი	21/01/20X1 თითოეული 11.50 ლარი	26/01/20X1 თითოეული 13.00 ლარი
საწყისი და შეძენა	200	300	350	250
გაყიდვები:				
15/01/20X1	(200)	(80)	-	-
22/01/20X1	-	(220)	(180)	-
29/01/20X1	-	-	(80)	-
31/01/20X1 წ. მარაგში დარჩენილი ერთეულები	-	-	90	250

$(90 \text{ ერთეული} \times 11.50) + (250 \text{ ერთეული} \times 13.00) = 1,035 \text{ ლარი} + 3,250 \text{ ლარი} = 4,285 \text{ ლარი}$

20X1 წლის იანვარში გაყიდული მარაგების ღირებულებაა 8,245 ლარი, რაც შემდეგნაირად გამოითვლება:

	ლარი
საწყისი მარაგები (200 x 10 ლარი)	2,000
შეძენა	<u>10,530</u>
	12,530
შემცირებული: საბოლოო მარაგებით	(4,285)
	<u>8,245</u>

მაგალითი 9ა- საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა - პერიოდის საფუძველზე

ფაქტები იგივეა, რაც ზემოთ მოცემულ მე-8 მაგალითში, გარდა იმისა, რომ A საწარმო საშუალო შეწონილ ღირებულებას იყენებს, რომელიც ყოველ-თვიური ინტერვალებით განისაზღვრება. მარაგების ერთეულის საშუალო შეწონილი ღირებულება შემდეგნაირად გამოითვლება:

თარიღი	შეძენილი ერთეულები	ერთეულის ღირებულება, ლარი	სულ
1 იანვარი	200	10	2,000
11 იანვარი	300	10.85	3,255
21 იანვარი	350	11.50	4,025
26 იანვარი	250	13.00	3,250
სულ	1,100⁽¹⁾	11.39⁽²⁾	12,530⁽³⁾

საშუალო შეწონილი ღირებულების გამოთვლა:

$$^{(1)} 200 + 300 + 350 + 250 = 1,100$$

$$^{(2)} 12,530 \text{ ლარი} / 1,100 = 11.3909 \text{ ლარი ერთეულზე}$$

$$^{(3)} 2,000 \text{ ლარი} + 3,255 \text{ ლარი} + 4,025 \text{ ლარი} + 3,250 \text{ ლარი} = 12,530 \text{ ლარი}$$

20X1 წლის 31 იანვარს ფლობილი მარაგების ღირებულებაა 3,872.60 ლარი, რაც შემდეგნაირად გამოითვლება:

$$340 \text{ ერთეული} \times 11.39 \text{ ლარი} = 3,872.60 \text{ ლარი}$$

20X1 წლის იანვარში გაცემული მარაგების ღირებულება (ანუ გაცემული საქონლის თვითღირებულების ხარჯი) არის 8,657 ლარი, რაც შემდეგნაირად გამოითვლება:

	ლარი
საწყისი მარაგები (200 x 10 ლარი)	2,000
შეძენა	10,530
	12,530
შემცირებული: საბოლოო მარაგებით	(3,873)
	<u>8,657</u>

მაგალითი 9ბ- საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა – უწყვეტი მეთოდი

ფაქტები იგივეა, რაც ზემოთ მოცემულ მე-8 მაგალითში, გარდა იმისა, რომ A საწარმო საშუალო შეწონილ ღირებულებას იყენებს, რომელიც უწყვეტად განისაზღვრება. მარაგების ერთეულის საშუალო შეწონილი ღირებულება შემდეგნაირად გამოითვლება:

თარიღი	ოპერაცია	რაოდენობა	ღირებულება/ ერთეული ლარი	მთლიანი ღირებულება ლარი	საშუალო შეწონილი ღირებულება ლარი
01/01/20X1	საწყისი ნაშთი	200	10.00	2,000	
11/01/20X1	შექენა	300	10.85	3,255	
	სულ	500	-	5,255	10.51 ⁽¹⁾
15/01/20X1	გაყიდვა	(280)	-	(2,943) ⁽²⁾	
	სულ	220	-	2,312	
21/01/20X1	შექენა	350	11.50	4,025	
	სულ	570	-	6,337	11.12 ⁽³⁾
22/01/20X1	გაყიდვა	(400)	-	(4,448) ⁽⁴⁾	
	სულ	170	-	1,889	
26/01/20X1	შექენა	250	13.00	3,250	
	სულ	420	-	5,139	12.24 ⁽⁵⁾
29/01/20X1	გაყიდვა	(80)	-	(979) ⁽⁶⁾	
31/01/20X1	სულ	340	-	4,160	

საშუალო შეწონილი ღირებულების გამოთვლა:

⁽¹⁾ 5,255 ლარი/500 = 10.51 ლარი

⁽²⁾ 10.51 ლარი⁽¹⁾ x 280 = 2,943 ლარი (სხვაობა გამოწვეულია დამრგვალების გამო)

⁽³⁾ 6,337 ლარი/570 = 11.12 ლარი

⁽⁴⁾ 11.12 ლარი⁽³⁾ x 400 = 4,448 ლარი (სხვაობა გამოწვეულია დამრგვალების გამო)

⁽⁵⁾ 5,139 ლარი/420 = 12.24 ლარი

⁽⁶⁾ 12.24 ლარი⁽⁵⁾ x 80 = 979 ლარი (სხვაობა გამოწვეულია დამრგვალების გამო)

გაციდული საქონლის მთლიანი თვითღირებულება არის 8,370, რაც შემდეგნაირად განისაზღვრება:

	ლარი
საწყისი მარაგები (200 x 10 ლარი)	2,000
შექენა	<u>10,530</u>
	12,530
შემცირებული: საბოლოო მარაგებით	(4,160)
	<u>8,370</u>

6.10 გაუფასურება – საწარმომ თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უნდა შეაფასოს, გაუფასურებულია თუ არა მარაგები, ანუ მათი საბალანსო ღირებულება არის თუ არა სრულად ანაზღაურებადი (მაგალითად, მარაგების დაზიანების, მოძველების ან გასაყიდი ფასის შემცირების გამო). როდესაც მარაგები გაუფასურებულია, საწარმომ მარაგები უნდა შეაფასოს გასაყიდი ფასით, რომელიც უნდა შემცირდეს მისი დასრულებისა და გაციდვისთვის საჭირო დანახარჯებით, ხოლო გაუფასურების ხარაღი, ხარჯის სახით, მაშინვე აღიაროს შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში.

მარაგების გაუფასურებას სხვადასხვა მიზეზი იწვევს, მათ შორის: ფიზიკური დაზიანება, მოძველება, მოსალოდნელი გასაყიდი ფასის შემცირება და დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯების ზრდა.

შემდეგი გარემოებები შესაძლოა იმის მიმანიშნებელი იყოს, რომ მარაგი გაუფასურდა:

- დანახარჯების ზრდა ან გასაყიდი ფასების შემცირება;
- მარაგების ფიზიკური მდგომარეობის გაუარესება;
- პროდუქციის მოძველება;
- საწარმოს მარკეტინგის სტრატეგიის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება პროდუქციის წარმოებისა და ზარალით გაყიდვის შესახებ; და
- შეცდომები წარმოებაში ან შესყიდვებში.

ზოგჯერ გვხვდება სიტუაციები, რაც იწვევს მარაგების თავდაპირველი ღირებულების ან შემდგომი საბალანსო ღირებულების შემცირების საჭიროებას გასაყიდ ფასამდე, შემცირებული დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. მსგავსი შემცირება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში გაუფასურების ხარჯის სახით (გაუფასურების ხარჯი: მარაგები).

საჭიროა მარაგების ცალ-ცალკე შეფასება გაუფასურებაზე, ანუ ღირებულების შედარება შეფასებულ გასაყიდ ფასთან, შემცირებული დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით, რაც თითოეული მარაგების ერთეულის საფუძველზე უნდა განხორციელდეს.

მაგალითი 10- მარაგების გაუფასურება

A საწარმო საბავშვო ხის ავეჯს აწარმოებს. 20X1 წლის 31 დეკემბერს ის ფლობს შემდეგ მარაგებს:

- 2 დასრულებული სახლის ფორმის საწოლი, თითოეულის ღირებულებაა 600 ლარი;
- 40 დასრულებული სკამი, თითოეულის ღირებულებაა 70 ლარი;
- 10 დაუსრულებელი მაგიდა (შესაღებია), თითოეულის ღირებულებაა 90 ლარი;
- 5 კონტეინერი (თითოეული 1 კუბური მეტრი) წიწვოვანი ხე-ტყის მასალა, თითოეულის ღირებულებაა 1,500 ლარი.

დამატებითი ინფორმაცია:

- 1) სახლის ფორმის საწოლები ამჟამად ძალიან პოპულარულია; მათი საშუალო საბაზრო ფასია 800 ლარი. თუმცა, ერთ-ერთი საწოლი შეკვეთით დამზადდა და მისი სახელშეკრულებო ფასია 750 ლარი. მეორე საწოლი საგამოფენო დარბაზშია განთავსებული და მისი ფასია 820 ლარი;
- 2) მარაგებში არსებული სკამები პოპულარული მოდელის სკამებია, რო-

მელსაც საბავშვო ბაღები ხშირად ყიდულობენ. როგორც წესი, თითოეულ სკამს A საწარმო 90 ლარად ყიდის. 20X2 წლის 2 იანვარს საგაზეთო სტატია ამტკიცებდა, რომ A საწარმოს მიერ სკამების შესაღებად გამოყენებული ლურჯი საღებავი შეიცავს კომპონენტს, რომელიც ბავშვებისთვის რეკომენდებული არ არის. შესაძლო პრობლემა ეხება 10 სკამს, რომელიც A საწარმოს მარაგებშია. ამიტომ, A საწარმომ გადაწყვიტა ამ 10 სკამის გასაყიდი ფასის 50%-ით შემცირება;

- 3) თითოეულ მაგიდას A საწარმო 120 ლარად ყიდის. ერთი მაგიდის შეღებვის ღირებულება შეფასებულია 10 ლარად;
- 4) A საწარმოს მარაგებში არსებული ხე-ტყის მასალის გაყიდვის სურვილის შემთხვევაში, იგი შეძლებდა 1,450 ლარის მიღებას კონტეინერში (ფასდაკლება იმის გამო, რომ A საწარმო სპეციალიზებული ხე-ტყით მოვაჭრე არ არის). თუმცა, A საწარმო გეგმავს ამ ხე-ტყის მარაგების ავეჯის წარმოებაში გამოყენებას და 2,500 ლარი მოგებით გაყიდვას (ანუ 15,000 ლარი მოსალოდნელი გასაყიდი ფასი, შემცირებული 5,000 ლარით დასრულებისათვის (და გაყიდვისთვის), შემცირებული 7,500 ლარი ნედლეულისა და მასალების ხარჯით);
- 5) გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები არაარსებითია, ამიტომ A საწარმო უგულებელყოფს ამ დანახარჯს;
- 6) სკამები, მაგიდები და ხე-ტყის მარაგი წარმოადგენს მსგავსი ხასიათის მარაგების ცალ-ცალკე ჯგუფებს.

20X1 წლის 31 დეკემბერს A საწარმომ რა თანხით უნდა შეაფასოს თავისი მარაგები?

ანალიზი:

	ერთეულის ღირებულება (A)	შეფასებული გასაყიდი ფასი, შემცირებული დასრულებისა და გაყიდვის დანახარჯებით (B)	A-სა და B-ს შორის უმცირესი	მარაგებში არსებული ერთეულების რაოდენობა	შეფასება საანგარიშგებო თარიღით
	ლარი	ლარი	ლარი	ცალი	ლარი
შეკვეთილი საწოლი	600	750	600	1	600
არასახელშეკრულებო საწოლი	600	820	600	1	600
ლურჯი სკამები	70	45 ⁽¹⁾	45	10	450
სხვა ფერის სკამები	70	90	70	30	2,100
დაუსრულებელი მაგიდა	90	110 ⁽²⁾	90	10	900
ხე-ტყის კონტეინერები	1,500	2,000 ⁽³⁾	1,500	5	7,500 ⁽³⁾

შენიშვნები:

(1) შეფასებულ გასაყიდ ფასში გათვალისწინებულია 50%-იანი ფასდაკლება, რის თაობაზე საწარმომ გადაწყვეტილება მიიღო დეფექტიანი საღებავის გამო, რაც საანგარიშგებო თარიღით არსებობდა;

- (2) შეფასებული გასაყიდი ფასი განისაზღვრა დასრულების შეფასებული დანახარჯის, 10 ლარის გამოკლებით დასრულებული მაგიდის შეფასებული ფასიდან, რაც 120 ლარს შეადგენს;
- (3) რადგან A საწარმო მოელის, რომ ხე-ტყის მასალის მთლიან ღირებულებას ამოიღებს ავეჯის მოგებით გაყიდვის შედეგად, ამ ნედლეულისა და მასალების გაუფასურების ზარალის ასახვა საჭირო არ არის. (ანუ 15,000 ლარი მოსალოდნელი გასაყიდი ფასი, შემცირებული 5,000 ლარით დასრულებისათვის (და გაყიდვისთვის) / ხე-ტყის მასალის 5 კონტეინერზე = 2,000 ლარი თითოეულ კონტეინერზე.

6.11 საწარმოს ეკრძალება ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენა.

მაგალითი 11- ვასული პერიოდის გაუფასურების ზრალი

20X1 წლის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში A საწარმომ 10,000 ლარის ოდენობით აღიარა იმ მარაგების გაუფასურების ზარალი, რომელიც 20X1 წლის დასაწყისში 15,000 ლარად შეიძინა.

გარემოებები, რომლებმაც 20X1 წელს გამოიწვიეს გაუფასურების ზარალი, აღარ არსებობს 20X2 წელს.

შესაბამისად, 20X3 წლის დასაწყისში, 20X2 წლის წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადებამდე, A საწარმო მთლიანად ყიდის ადრე გაუფასურებულ მარაგებს 25,000 ლარად.

A საწარმომ რა თანხით უნდა ასახოს მარაგები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 20X2 წლის 31 დეკემბრისთვის?

A საწარმომ მარაგები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 20X2 წლის 31 დეკემბერს უნდა ასახოს 5,000 ლარად, რადგან სტანდარტის თანახმად დაუშვებელია წინა პერიოდის გაუფასურების ზარალის აღდგენა.

ხარჯის სახით აღიარება

6.12 როდესაც მარაგები გაიყიდება, საწარმომ მისი საბალანსო ღირებულება უნდა აღიაროს იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარებს შესაბამის ამონაგებს.

მაგალითი 12- გაყიდული საქონლის თვითღირებულების ხარჯად აღიარება

A საწარმოს მარაგების საბალანსო ღირებულება 20X1 წლის 1 იანვარს არის (ანუ მისი საწყისი მარაგების) 10,000 ლარი. 20X1 წელს A საწარმომ:

- ნედლეული და მასალები შეიძინა 75,000 ლარად; ამ ნედლეულისა და მასალების ნაწილი, 10,000 ლარის ღირებულებით, ასევე გამოიყენება სათადარიგო ნაწილებად ერთ-ერთი გრძელვადიანი აქტივისთვის (ამგვარად, ეს ნაწილი არ მონაწილეობს მოცემული მზა პროდუქციის წარმოებაში). მოსალოდნელი არ არის, რომ სათადარიგო ნაწილები ერთზე

მეტი პერიოდის განმავლობაში იქნება გამოყენებული, ამიტომ ისინი აღირიცხება მარაგების სახით;

- გასწია პერსონალის დანახარჯი 25,000 ლარი, საიდანაც 20,000 ლარი გადამუშავების დანახარჯებია;
- გრძელვადიანი აქტივების შეფასებული ცვეთა და ამორტიზაცია 20,000 ლარს შეადგენს, საიდანაც 18,000 ლარი გადამუშავების დანახარჯია;
- გასწია საპროცენტო ხარჯი 3,000 ლარის ოდენობით;
- აღიარა 140,000 ლარის ოდენობით ამონაგები მარაგების გაყიდვიდან.

20X1 წლის 31 დეკემბერს მარაგების ფიზიკური დათვლის საფუძველზე A საწარმომ განსაზღვრა, რომ 2,000 ლარის მარაგები მოძველებული და გაუფასურებულია 0 ლარის ღირებულებამდე. ხოლო მისი დანარჩენი გასაყიდი მარაგების ღირებულებაა 10,000 ლარი.

თუ დავუშვებთ, რომ ადგილი არ ჰქონია სხვა ოპერაციებს ან მოვლენებს, A საწარმო თავის 20X1 წლის შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებას შემდეგნაირად წარადგენს:

შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება (ყველა თანხა მოცემულია ლარებში)

ნეტო ამონაგები:	
- საქონლის გაყიდვიდან	140,000
გაყიდვების თვითღირებულება	(101,000)
საწყისი მარაგები	(10,000)
შექმნა ⁽¹⁾	(65,000)
გადამუშავების დანახარჯები ⁽²⁾	(38,000)
საბოლოო მარაგები ⁽³⁾	12,000
საერთო მოგება	39,000
გაუფასურების ხარჯი:	
- მარაგები	(2,000)
ადმინისტრაციისა და გაყიდვების ხელფასების ხარჯი ⁽⁴⁾	(5,000)
ცვეთა/ამორტიზაცია ⁽⁵⁾	(2,000)
საპროცენტო ხარჯი	(3,000)
სხვა ხარჯები ⁽⁶⁾	(10,000)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	17,000

შენიშვნები:

^{(1),(3)} გაყიდული საქონლის თვითღირებულების გამოთვლით A საწარმომ არ უნდა აღიაროს მარაგები, რომელიც გაყიდვებში არ მონაწილეობს. ამ შემთხვევაში გაყიდული საქონლის თვითღირებულების გამოთვლებიდან უნდა გამოქვითოს ნედლეული და მასალები, რომლებიც აღიარებულია, როგორც სათადარიგო ნაწილები 10,000 ლარის ღირებულებით და 2,000 ლარის მარაგი, რომელიც მოძველებულია. მაშასადამე, შექმნა მოიცავს მთლიან შექმნას, 75,000 ლარი, გამოკლებული 10,000 ლარი, რომელიც განაწილდა სათადარიგო ნაწილებზე. ხოლო საბოლოო მარაგები მოიცავს 10,000 ლარის ოდენობის

მარაგებს წლის დასასრულს, შესწორებული 2,000 ლარის მარაგებით, რომელიც მიჩნეულ იქნა, რომ მოძველებულია, თუმცა გაყიდული საქონლის თვითღირებულების გამოთვლის მიზნებისთვის მარაგების გაუფასურება არ უნდა გავითვალისწინინოთ. იმ მარაგების ღირებულება, რომელიც გაყიდული საქონლის თვითღირებულების ნაწილი არ არის, ხარჯებში აისახება 12,000 ლარის ოდენობით. კერძოდ, 10,000 ლარი როგორც სათადარიგო ნაწილების ჩამოწერა, ხოლო 2,000 ლარი როგორც მარაგის გაუფასურების ხარჯი.

- (2) გადამუშავების დანახარჯები მოიცავს 20,000 ლარის ოდენობით პერსონალის დანახარჯებს და ცვეთაზე/ამორტიზაციაზე განაწილებულ 18,000 ლარს.
- (4) პერსონალის ხარჯი არის მთლიანი პერსონალის ხარჯი 25,000 ლარი, შემცირებული 20,000 ლარით, რაც გადამუშავების დანახარჯებზე განაწილდა.
- (5) ცვეთის/ამორტიზაციის ხარჯი არის მთლიანი ცვეთის/ამორტიზაციის ხარჯი, 20,000 ლარი, შემცირებული 18,000 ლარით, რაც გადამუშავების დანახარჯებზე განაწილდა.
- (6) სათადარიგო ნაწილების მარაგის გამოყენება აღიარდება ხარჯად.

A საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარაგები აისახება 10,000 ლარის ოდენობით.